ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ბაქარ მახარაძის მიერ 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საკრებულოს რეგლამენტით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აქტიურად არის ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში, მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების განხილვაში, ამზადებს შენიშვნებს, რეკომენდაციებს, დასკვნებს და შემდგომში მიღების მიზნით გადასცემს შესაბამის ორგანოებს. კომისია შედგება 16 წევრისაგან.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2023 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ სამუშაო შეხვედრებში, სამსახურებთან მიიღო მონაწილეობა პარამეტრების შეთანხმების პროცესში.

2022 წლის 23 დეკემბერს კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 2023 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი 2023-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად, რომელშიც აისახა კომისიის შენიშვნები და რეკომენდაციები, დამტკიცდა სხდომაზე და მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2023 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი. გეგმის მიხედვით, კომისიის სხდომებზე იხილებოდა ანგარიშვალდებული

ორგანოებისა და თანამდებობის პირების განვლილი პერიოდის საქმიანობა და სამომავლო პერსპექტივები.

წინასწარ ცნობილი განრიგის მიხედვით, ანგარიშვალდებული ორგანოები კომისიაში წარმოადგენენ ინფორმაციას, რომელიც განხილვის მიზნით, ეგზავნებათ კომისიის წევრებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 9 (ცხრა) სხდომა. მათზე განხილულია 24 (ოცდაოთხი) საკითხი (იხ. დანართი 1).

ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო.

ჩაშლილი ან გადადებული არ ყოფილა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის არც ერთი სხდომა. ყველა მათგანზე იყო მოწვეული აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები.

2022 წლის 23 დეკემბერს, კომისიის სხდომამ განიხილა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ბოლო, მეექვსე ცვლილება, რომლის შემდეგად დაზუსტდა გასული წლის ბიუჯეტის საბოლოო პარამეტრი, რომელმაც გადასახდელების ნაწილში 129,9 მლნ ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ იმსჯელა შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1. განიხილა და შეაფასა 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები და წარადგინა შესაბამისი წინადადებები;
2. მომზადდა წინადადებები და რეკომენდაციები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის და შესახებ და მიეწოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. კომისიამ 2022 წლის 23 დეკემბერს განიხილა 2023 წლის ბიუჯეტის მეორე, კორექტირებული ვარიანტი, მოამზადა დასკვნა და მისცა მას რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად;
4. განხილულ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები, 2023 წლის ბიუჯეტში

ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობები და მათი მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა;

5. კომისიამ მარტის ბოლოს განიხილა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
6. მოსმენილ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის და თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების (ააიპ-ები და შპს-ები) ანგარიშები;
7. კომისიამ სხდომებზე განიხილა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში შესატანი სამი ცვლილება, რომელთა შესახებაც მომზადდა შესაბამისი დასკვნები. ამ პერიოდში, ცვლილებების შედეგად, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 101,5 მლნ ლარიდან 125,9 მლნ ლარამდე გაიზარდა;

მიმდინარე წლის ივლის-სექტემბერში კომისიამ მნიშვნელოვანი სამუშაოები გასწია 2023-2024 წლების სტრატეგიის პროექტის განხილვა-დამუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც USAID-ის მხარდაჭერით მომზადდა. ამჟამად მომზადებულია დოკუმენტის ბოლო ვარიანტი, რომელიც დამტკიცდება კომისიის სხდომაზე.

კომისიის მიერ მომზადდა შემდეგი ინიციატივები:

1. მერიის სოციალური სამსახურის მიერ განსახორციელებელი „სამედიცინო დახმარების“ და „მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ პროგრამებთან დაკავშირებით მოწყვლად ჯგუფების გაფართოების მიზანშეწონილობის შესახებ;
2. ააიპ "ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის" მიერ თანამედროვე (მათ შორის ტექნიკური და ტექნოლოგიური) მოთხოვნების, საქმიანობის პოპულარიზაციის და მიწოდებული მომსახურების არეალის

გაფართოების მიზანშეწონილობის და აქედან გამომდინარე, საკუთარი შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობის შესახებ;

3. „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკისათვის“ საერთაშორისო აკრედიტაციის მოსაპოვებლად შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაწილის შესაქმნელად საკუთარი ფინანსური სახსრების გამოყენების გზით მისივე ჩართულობის და დაჩენილი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის მერიის მხარდაჭერის მიზანშეწონილობის შესახებ.

საფინასო-საბიუჯეტო კომისიის საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ✓ 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებულ სამუშაოებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ✓ საკრებულოსათვის დასკვნების წარდგენა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით;
- ✓ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2024 წლის სტრატეგიის დასრულება და მისი მოთხოვნების შესრულებაზე მუშაობა;
- ✓ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშგება (მათ მიერ ცალკეული პროგრამების განხორციელების მიმართულებით);
- ✓ სამართლებრივი აქტის პროექტების მომზადება და საკრებულოსათვის წარდგენა;
- ✓ ძირითადი პრობლემატური საკითხების შესწავლა-გაანალიზება შემდგომი რეაგირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით;
- ✓ 2024 წლის ბიუჯეტის საორიენტაციო პარამეტრების შემუშავებაში მაქსიმალური ჩართულობა;

- ✓ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების განხილვა, მათზე სათანადო რეაგირება.

საკრებულოს წევრი, ბატონი ბაქარ მახარაძე არის ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი. იგი აქტიურად მონაწილეობს ფრაქციის მუშაობაში (სულ ფრაქციის 17 სხდომაში მონაწილეობა), რაც გამოიხატება საკითხების ინიცირებაში, გადასაწყვეტი პრობლემების მოსაგვარებლად გაწეულ საქმიანობაში, კონტროლსა და მონიტორინგში.

ბატონი ბაქარ მახარაძე არის აგრეთვე ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის წევრი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული კომისიის ყველა (სულ 18) სხდომაში.

ბ.მახარაძე
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

დანართი 1

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ჩატარებული სხდომები 1.XII.2022-1.X.2023 პერიოდში

სხდომის ნომერი	თარიღი	განხილული საკითხები	სხდომის მუშაობაში მონაწილე მოწვეული პირები და მათი თანამდებობა
1 (N12)	23.12.2022	1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა;	**დ. ნიშნიანიძე** - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი
2 (N13)	24.01.2023	1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“	**ტ. მაკარიძე** - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის განყოფილების უფროსი
3 (N14)	27.03.2023	1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების შესახებ; 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმების განსაზღვრის შესახებ; 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ“	**დ. ნიშნიანიძე** - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი **ზ.წაქაძე** - ააიპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ზედამხედველობის განყოფილების უფროსი; **მ.ხიდაშელი** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;

			თ.ბერიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
4 (N15)	28.03.2023	1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ	**რ.ჩინჩალაძე** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი
5 (N16)	24.05.2023	1. ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ. 2. კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ. 3. ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ. 4. ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის“ მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.	**თ.დახუნდარიძე** - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; **ვ.გობეჯიშვილი** - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი; **ე.გოგოლაშვილი, ს.ფუტკარაძე** **ლ.სვანიძე** - კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრ-დობის საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები; **ვ.ჯუღელი** - ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელი **თ.ბაკურაძე** - ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის“ ხელმძღვანელი
6 (N17)	27.06.2023	1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	**ი.უგულავა** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

			ტ. მაკარიძე - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის განყოფილების უფროსი **მ.ხიდაშელი** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე; **თ.ბერიშვილი** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
7 (18)	3.07.2023	1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარების და ტრანსპორტის განყოფილების ანგარიში	**ი.უგულავა** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; **თ.ბერიშვილი** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **რ.ჩინჩალაძე** - მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი; **ი.გოგლიჩიძე** - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი განყოფილების ხელმძღვანელი

8 (N19)	25.07.2023	1. ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ; 2. ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ; 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ; 3. შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ; 4. ა(ა)იპ ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015“-ის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ; 5. შპს „საფეხბურთო კლუბი მართვე"-ს მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ. 6. შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“-ის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ; 7. ა(ა)იპ ,,ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ.	**ი.უგულავა** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; **თ.ბერიშვილი** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკო-ნომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი; **თ.არსენიძე** - ააიპ „სპეციალური სერვისები“-ის ხელმძღვანელი; **მ.ბასილაძე** - ააიპ „ქუთგანათების სერვისი“-ის ხელმძღვანელი; **ზ.ყაველაშვილი** ააიპ ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015“-ის ხელმძღვანელი; **ვ.ფხაკაძე** - ააიპ ხებურთის კლუბი „ქუთაისი 2015“-ისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი მართვეს“ ბუღალტერი; **ვ.უნგიაძე** - ააიპ „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელის მოადგილე; **ნ.ხვადაგიანი** - ააიპ „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ განყოფილების უფროსი; **ლ.ლიპარტიანი** - შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“-ის შესყიდვების სპეციალისტი; **ა.ერაძე** - შპს „რამაზ შენგელიას სახელობის

			სტადიონი“-ის ბუღალტერი; **გ.ჩხიკვაძე** - შპს „საფეხბურთო კლუბი მართვეს“ ხელმძღვანელი **ტ.ჭაბუკიანი** - შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“-ის ხელმძღვანელი
9 (N20)	26.09.2023	1. ააიპ "ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის" მიერ 2023 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ 2. ა(ა)იპ ,,ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ მიერ 2023 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ 3. შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ მიერ 2023 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ	**გ.ქობალიანი** - ააიპ "ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის" დირექტორი; **მ.ნადარეიშვილი** - ა(ა)იპ ,,ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ ხელმძღვანელი; **ნ.ჩალაძე** - შპს „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ ხლმძღვანელი; **ნ. ჩეჩელაშვილი** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი